

## შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ 2019 წლის ზამთრის სეზონისათვის (2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით) **საჭირო მცირე და დიდი ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით საქართველოს მთავრობა გეგმავს კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებას.**

კონსოლიდირებული ტენდერების დაგეგმვისა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოების მიზნით, გთხოვთ, არაუგვიანეს **2019 წლის 1 აგვისტოსა**, კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის [ctd.spa.ge](http://ctd.spa.ge) მეშვეობით, სატენდერო კომისიას მიაწოდოთ ინფორმაცია იმ მცირე ტვირთამწეობის საბურავების შესახებ, რომლის შესყიდვასაც გეგმავთ ზამთრის სეზონისათვის (01.11.2019 – 31.01.2020 პერიოდისათვის) და რომლებიც განკუთვნილია წლის მოცემულ სეზონზე ექსპლუატაციისათვის, ხოლო ელ. ფოსტის მეშვეობით მოგვაწოდოთ დიდი ტვირთამწეობის საბურავების გეგმა. („ცხრილი“ გადმოწერეთ, შეავსეთ excel-ის ფაილი და გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტაზე [ininoshvili@spa.ge](mailto:ininoshvili@spa.ge)).

საბურავების გეგმის წამოდგენისას, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ კომისიის [რეკომენდაციას](#) საბურავების სეზონურობისა და ექსპლუატაციის პირობების შესახებ და თქვენი მოთხოვნა ჩამოაყალიბოთ მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად. რეკომენდაცია ითვალისწინებს შემდეგს: სედანისა და C-ბორტის ტიპის ავტომანქანების შემთხვევაში მიზანშეწონილია მოითხოვოთ მხოლოდ ზამთრის სეზონის საბურავები, ხოლო ჯიპის (პიკაპი/მაღალი გამავლობა) ტიპის შემთხვევაში შესაძლებელია მოითხოვოთ ზამთრის, ყველა სეზონის, M+S და სპეციალიზირებული (AT/MT) საბურავები.

გაითვალისწინეთ, რომ მოწოდებული ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტე ძალზედ მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ტენდერების სწორი დაგეგმვისათვის. ვინაიდან ქარხანა მწარმოებლები 1 სექტემბრიდან წყვეტენ შეკვეთების მიღებას ზამთრის სეზონის საბურავების დამზადებაზე, შეუძლებელია მათი დაკვეთა და საქართველოში იმპორტი განხორციელდეს ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით. ამრიგად, წარდგენილი გეგმების მაქსიმალური სიზუსტე და მათი შესაბამისობა ფაქტობრივ ათვისებასთან ძალზედ მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ტენდერის გამართული ფუნქციონირებისა და საქონლის ჯამური საორიენტაციო რაოდენობის განსაზღვრისათვის, ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საქონლის შეუფერხებელი მიწოდებისათვის.

წარმოდგენილი გეგმების უხეში შეუსაბამობა ფაქტობრივ ათვისებასთან გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას, რათა მაქსიმალური სიზუსტით იქნეს ათვისებული მოთხოვნილი რაოდენობა ან წარადგენილ იქნეს შესაბამისი დასაბუთება სატენდერო კომისიის წინაშე.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის მოთხოვნას მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის თაობაზე და მითითებულ ვადაში სათანადოდ შეავსოთ კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში [ctd.spa.ge](http://ctd.spa.ge) მოცემული ველები.

იმ შემთხვევაში, თუ არ გეგმავთ ზამთრის სეზონისათვის საჭირო საბურავების ზემოაღნიშნულ შესყიდვას, არ წარმოადგინოთ არანაირი ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ცხელი ხაზი:

+322 2 48 48 22

596 706 600 ირაკლი ნინოშვილი, [ininoshvili@spa.ge](mailto:ininoshvili@spa.ge).

ელ-ფოსტა: [tire2019@spa.gov.ge](mailto:tire2019@spa.gov.ge)

დიდი ტვირთამწეობის საბურავების ცხრილი -

<https://onedrive.live.com/view.aspx?resid=BBC730841B5BC7D9!390&ithint=file%2cxlsx&authkey=!AOMw4FXo1HmkaDY>